№ 195 ᲕᲗᲐᲕᲠᲝᲒᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲒᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲐ ᲬᲔᲚᲬᲜᲐᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲐᲛᲨᲐᲒᲐᲗᲘ 2 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1919 Წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური ჟურნალი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განკარგულებით)

'ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ'

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. საგალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით. კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ ᲔᲠᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲐ

ამით აცხადებს, რომ მას ესაჭიროება სტატისტიკური განყოფილების გამგე. მსურველმა უნდა გადმოგზავნოს განათლების ცენზი და curriculum vitae ქუთაისის სამაზრო ერობაში გამგეობის წევრის მ. გავაშელის სახელზე ერთი კვირის განმავლობაში. პირობები სამსახურისა: თვიური ჯამაგირი 2000 მ. და ღვინური. 1562 3—1

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲔᲞᲝᲜᲝᲛᲘᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ამით აცხადებს, რომ 15 სექტემბერს საზოგადოების შენობაში (კირკის ქ.) დილის 10 საათზე დანიშნულია საზოგადოების რწმუნებულთა საგანგებო კრება. კრებას უნდა დაესწრენ ყველა ის რწმუნებულები, რომლებიც უკვე იყვნენ პირველ კრებაზე ამ წლის აპრილის 15 ს, აგრეთვე ის რწმუნებულები, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ დაესწრენ პირველ კრებას. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1. სარევიზიო კომისიის მოხსენება წარსული წლის ანგარიშების შესახებ. 2. მოხსენება გამგეობის და ზედამხედველი კომიტეტისა საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ დღიდან ჩაბარებისა და 3. წესდების განხილვა. 1572 2—1

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲮᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

აცხადებს, რომ სასწავლებლის გადაკეთების და გაფართოების გამო სწავლა დაიწყება 29 სექტემბერს, ხოლო განმეორებითი გამოცდები—23 ს; ახლად შემომსვლელნი ვალდებული არიან გამოცხადდენ სასწავლებელში 25 სექტემბერს. მისამართი: ტფ. დიდიმთავრის ქუჩა, № 70. 1245 1—1

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲝᲩᲮᲔᲛᲩᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲒᲔ.

არსებულ ჯამაგირზე ზევით ქალაქის გამგეობის მიერ მიეცემა 500 მანეთი თვეში. საჭიროა იმავე სასწავლებლისთვის აგრეთვე მასწავლებლებიც. თხოვნებით მიმართეთ განათლების სამინისტროს. ოჩემჩირის ქალაქის გამგეობა. 1178 5—4

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

მშობლებისა და ოპეკუნების საყურადღებოთ აცხადებს, რომ მოსამზადებელი კლასები ალნიშნულ სასწავლებლისა, როგორც საქართველოს ყველა საშუალო სასწავლებლებში, იხურება და ბავშვები უნდა გადაყვანილ იქნენ ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებლებში. 1239 1—1

ᲮᲘᲚᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ ᲡᲐᲔᲠᲝᲑᲝ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

იწვევს სამაზრო საერობო სკოლების გამგეს, თვიური ჯამაგირი 2.000 მ., მოგზაურობის დროს მიეცემა დღიური. თხოვნით და შესაფერი საბუთებით მსურველთ უნდა მიჰმართონ ზემოხსენებულ გამგეობას.

ხილნალის სამაზრო საერობო გამგეობა.
1560 3—1

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ამზადებს ბავშვებს გიმნაზიის დაბალი კლასებისათვის. იქვე მუსიკის მასწავლებელი აძლევს გაკვეთილებს. მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვიდან. ცნობის მიღება და ჩაწერა მოწაფეებისა შეიძლება დავიდოვის ქუჩაზე, 36, დილის 9—10 სათამდე. 1248 5—1

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

102 კვ. საჟენი მიწა საბურთალოზე. დაწვრილებითი ამბის შეტყობა შეიძლება, სოლოლაკში ბარესაშვილის ბუდკაში. 1234 2-1

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრისა.

16 აგვიტო, 1919 წ. № 86.

განთავისუფლებულია სამსახურიდან გამგე ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებისა ლაშხაური ოცი დღის ვადით 25 აგვისტოდან და დაეკისროს მის მოვალეობის ასრულება თანაშემწეს დ. ახმეტელაშვილს.

21 აგვისტო, 1919 წ. № 87.

ტფილისის საორკესტრო მუსიკოსთა ქავშირის საქმეთა სარევიზიოთ შესდგეს კომისია შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსის ვარლამ ნოეს ძე მგალობლიშვილის, იმავე კანცელარიის საქმის მწარმოებლის გიორგი ალექსანდრეს ძე შაკოვის და საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო მუსიკის და გალობის ინსტრუქტორის კონსტანტინე გიორგის ძე ფოცხვერაშვილის მონაწილეობით.

ყველა მთავრობის და საზოგადო დაწესებულებათ ტ აგრეთვე სხვა და სხვა თანამდებობის და კერძო პირთ წინადადება ეძლევათ აღმოუჩინონ აღნიშნულ კომისიას ყოველგვარი კანონიერი დახმარება.

21 აგვისტო, 1919 წ., № 88.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ბორჩალოს რაიონის კომისარი ეფენდიევი თანახმად მისი თხოვნისა.

22 აგვისტო, 1919 წ., № 89.

მივლინებულია: ტფილისის ქალაქის მილიციის მე-5 უბნის კომისარი გიორგი ალექსანდრეს ძე მირზაშვილი ბორჩალოს მაზრის კომისრის მოვალეობის დროებით აღმასრულებლათ.

28 აგვისტო, 1919 წ. № 90.

დათხოვნილია: ბორჩალოს მაზრის მილიციის უფროსი პოდპორუჩიკი კალანდაძე თავის თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თხოვნისა ოჯახურ მდგომარეობის გამო.

22 აგვისტო, 1919 წ. № 91.

დაინიშნოს ახალციხის მაზრის ექიმი-ვეტერინარი მიხეილ ფაცხვახიძე და ბორჩალოს მაზრის ექიმი-ვეტერინარი ვლადიმერ ბასილია მივლინებულ ვეტერინარ-ექიმებათ და ჩაირიცხონ ორივე შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილების განკარგულებაში 1 სექტემბრიდან მიმდინარე 1919 წ. თანახმად მათი თხოვნისა; ამასთანავე ფარცხვანიძეს ევალება საქონლის ჰიგიენის საწინააღმდეგოთ შრატის დამამზადებელ ცხის-ჯვრის სადგურის გამგეობა, ბასილიას მისი თანაშემწეობა.

შინაგან საქმეთა მინისტრის
ამხანაგი ჰ. ჰაჰინაძე.

ᲒᲖᲐᲗᲐ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐ.

14 აგვისტო, 1919 წ. № 72.

ინიშნება ამა წლის 15 აგვისტოდან გზათა დეპარტამენტის საინჟენერო საბჭოს თავმჯდომარედ ინჟენერი გიორგი პავლეს ძე თუმანიშვილი. ინიშნებიან იმავე საბჭოს წევრებად:

1. სახაზინო რკინის გზების უფროსი, ინჟენერი ალექსანდრე გიორგის ძე კანდელაკი.
2. კახეთის რკინის გზის მმართველის თანამდ. ალმ., ინჟენერი გრიგოლ ივანეს ძე გვერდწითელი.
3. გზატკეცილების სამართველოს უფროსი, ინჟენერი ნიკოლოზ ლუარსაბის ძე კორინთელი.
4. ნავთსადგურების სამართველოს უფროსი, ინჟენერი გიორგი ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი.
5. სახაზინო რკინის გზების ლიანდაგის სამსახურის უფროსი, ინჟენერი მიხეილ ვიკენტის ძე კარპოვიჩი.
6. სახაზინო რკინის გზების მეხანიკურ სამსახურის უფროსი ინჟენერი ალექსანდრე ეფრემის ძე [illegible]ძე.
7. გზატკეცილების სამართველოს ტეხნიკურ განყოფილების უფროსი, ინჟენერი სტანისლავი კონსტანტინეს ძე ოლევსკი.

15 აგვისტო, 1919 წ. № 73.

გზათა დეპარტამენტთან ინსპექტორის თან. აღმასრულებელი ინჟენერი იაკობ გრიგოლის ძე ცვანგერი, თანახმად საკუთარ სურვილისა, განთავისუფლებულია სამსახურიდან ამა წლის 20 აგვისტოდან. ინსპექტორად გზათა დეპარტამენტთან ინიშნება ამავე რიცხვიდან გზათა ინჟენერი მიხეილ ლეონტის ძე გრიგოლაშვილი.

14 აგვისტო, 1919 წ. № 74.

გზატკეცილების სამართველოს.

მტკიცდება: ინჟენერი გრიგოლ იოსების ძე ჩხეიძე გზატკეცილების მეორე და მესამე უბნის უფროსად ამა წლის 28 ივლისიდგან.

15 აგვისტო, 1919 წ. № 75.

სახაზინო რკინის გზის სამართველო.

ინიშნება: ინჟენერი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ზელნიცკი შორაპნის დეპოს უფროსად ამა წლის 10 ივლისიდგან.

14 აგვისტო, 1919 წ. № 76.

ძველ საპენსიო კომიტეტის რწმუნებულობის ვადის გასვლისა გამო, თანახმად წესდებისა, მტკიცდებიან ახალ საპენსიო კომიტეტის თავმჯდომარედ რკინის გზათა უფროსი ალ. კანდელაკი და წევრებად რკინის გზათა ადმინისტრაციისაგან: იურისკონსულტი ვ. დემიდოვი, საპენსიო კასის გამგე გ. ანანიაშვილი, უფროსი ექიმი ალ. შატილოვი, მთავარი ბუხჰალტერი ივ. ბელოვი და რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობისაგან: ლავრენტი გიორგის ძე ასათიანი, ვალერიანე გიორგის ძე თხილავა, ვასილ ვაშაკიძე და ევგენი ანანიას ძე შავგულიძე.

19 აგვისტო, 1919 წ. № 78.

გზათა დეპარტამენტის სატეხნიკო განყოფილების უფროსი, ინჟენერი გიორგი ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი განთავისუფლებულია აღნიშნულ თანამდებობიდან ამა წლის 1 აგვისტოდან და ამავე რიცხვიდან ინიშნება საქართველოს რესპუბლიკის ნავთსადგურთა უფროსად.

23 აგვისტო 1919 წ. № 78.

დამატება № 48 ბრძანების.

სახაზინო რკინის გზათა უფროსს და კახეთის რკინის გზის მმართველს.

ა. წ. 5 მაისის № 48 ჩემი ბრძანებით აკრძალული იყო რესპუბლიკის ფარგლებიდან გაზიდვა მუხის ქერქისა და ტყავეულობის გამოსაქნელი სხვა გვარ მასალებისა. ამ ბრძანებით შევიწროებული კერძო პირნი მიზნის მისაღწევად სხვა საშუალებას მიმართავენ და ტვირთის ნაცვლად ბაგაჟათ მიცემის წესით ახერხებენ აღნიშნულ მასალების რესპუბლიკის ფარგლებიდან გაზიდვას. წინადადებას გაძლევთ გასცეთ განკარგულება, რათა ტყავეულობის გამოსაქნელი მასალების გასაგზავნათ მიღება აიკრძალოს როგორც ტვირთად, ისე ბარგათ (ბაგაჟათ) და თან დაწესდეს სასტიკი მეთვალყურეობა იმის შესახებ, რომ გამზიდავნი ხშირად დაფნის ფოთლის ნომენკლატურით ახერხებენ აღნიშნულ მასალების გაზიდვას. პირი თქვენი სათანადო განკარგულებისა ეცნობოს გზათა დეპარტამენტს.

23 აგვისტო, 1919 წ., № 79.

განთავისუფლებულია დასასვენებლად ა. წ. 23 აგვისტოდან სამი კვირით ძირითად პარკის გამგე ნ. ი. კვეზერელი-კოპაძე. მის თანამდებობაზეს დროებით ასრულება ევალება ტეხნიკ ე. კულუაშვილს, რომელიც მთელი არქივით გადადის გზათა დეპარტამენტის ტეხნიკურ განყოფილებაში და იმუშავებს იქ ძირითად პარკის საქმეების დასაბოლოვებლად ტეხნიკ ი. გოპაძის ხელმძღვანელობით.

სახაზინო რკინის გზების ხაზზედ რკინის გზების უფროსს.

№ 80.

მივაქციე რა ყურადღება, იმ მოვლენას, რომ რკინის გზების ზოგიერთი მოსამსახურენი სასამსახურო ვაგონებში მოგზაურობის დროს ათავსებენ ამ ვაგონებში გარეშე პირთ უბილეთოთ, წინადადებას ვაძლევთ ყველა იმ მოსამსახურეთ რა თანამდებობისაც არ უნდა იყოს ვინც შემჩნეული იქნებიან ამაში, რომ თავის სასამსახურო ვაგონში შეუშვებს ვინმეს სამგზავროდ უბილეთოდ და უპლაცკარტოდ (ბილეთი უნდა იქნეს 1 კლასის სათანადო პლაცკარტით) გარდა სხვა გვარ ადმინისტრატიულ დასჯისა ყოველ შემთხვევაში ჩამოერთვას ექვსი თვის ვადით სასამსახურო ვაგონით სარგებლობის უფლება და ამავე ვადით მოესპოს უფასო ბილეთის მიცემა ოჯახისათვის ან თავისათვის.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი
ბ. ჰაჰინაძე.

ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

სახელმწიფო დაწესებულებათა საყურადღებოთ

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს საერთო განყოფილება ამით სთხოვს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, რათა სექტემბრის „10.“ მდე აუცილებლივ გადმოუგზავნონ საერთო განყოფილებას სიები მათდამი რწმუნებულ დაწესებულებაში მოსამსახურეებისა. სიებში გარდა მოხელეთა სახელის, მამის სახელის, გვარის და ჯამაგირის აღნუსხვისა ნაჩვენები უნდა

იყოს მათი დაბადების წელი და როდის დაუწყია მოხელეს სამსახური სახელმწიფო დაწესებულებაში. ტფილისის დაწესებულებებმა ამ ცნობებს უნდა დაუმატონ მოხელეთა მისამართიც.

ცნობები საჭიროა საპენსიო წესდების დასამუშავებლად.

ცალკე მიმართვები სახელმწიფო დაწესებულებებს აღარ დაეგზავნებათ.

სამუსლიმანო საქართველოში

სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელთა ყრილობა.

კვირას, აგვისტოს 31-ს 4 ს. და 12 წ. ოფიციალურად გაიხსნა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარის მამედბეგ აბაშიძის თავმჯდომარეობით. სხდომას დაესწრო 100-მდე რწმუნებული და წარმომადგენლები დამფუძნებელი კრების, საქართველოს კონსული, ადერბეიჯანის, სომხეთის და სპარსეთის კონსულები და დაწესებულებათა წარმომადგენლები. ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი ცხრა კაცისაგან. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მამედ ბეგ აბაშიძე.

კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლები, შეკრებილნი ქ. ბათუმში რიცხვით 100, 1919 წ. აგვისტოს 31-სა, კვირას, ვაცხადებთ ერთხმად ღვთისა და ქვეყნის წინაშე:

1. ბათომის ოლქის მკვიდრნი სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლითა და ხორცით, ენით, კულტურით და ადათებით ქართველები ვართ, მუსლიმანი ქართველები და ტერიტორიალურათ და ეკონომიურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედა სამშობლოს საქართველოს განუყრელს ნაწილს შეადგენდა.

2. ბათომის ოლქის აწინდელი მდგომარეობა აუტანელ პირობებში აყენებს მთელ ხალხს, ართმევს მართვა გამგეობაში მონაწილეობის მიღების უფლებას და საშუალებას, აძლიერებს უპასუხისმგებლობის ბიუროკრატიის პოლიტიკურს თარეშს და ხელს უწყობს მშვიდობიანობის და კეთილ განწყობილების დამარღვეველ ადამიანთა ბოროტ განზრახულებას. ამის გამო შეუძლებელია მშვიდობიანი განვითარება.

3. ბათომის ოლქის მკვიდრთა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული საჭიროებანი, აგრეთვე ამიერ კავკასიის ყველა ერის ინტერესი და ურთი ერთ შორის კეთილ მეზობლური განწყობილება და დიდ სახელმწიფოთა ღირსება თხოულობს, რომ ბოლო მოეღოს ოლქის დღევანდელ მდგომარეობას. სახელმწიფოებრივი წესიერება დამყარდეს და ხალხმა მშვიდობიანი კეთილ დღეობითი ცხოვრება მოიპოვოს.

4. ვინაიდან ეს შესაძლებელია მხოლოდ მუსლიმან ქართველების განთავისუფლებით და საქართველოს რესპუბლიკასთან შეერთებით, ამიტომ გამოვსთქვამთ შეურყეველ ნებას ყოფას და მტკიცე გადაწყვეტილებას:

ამიერიდან და სამარადისოდ ბათომი და ბათომის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიის ნიადაგზე და ამ ავტონომიის ფარგალში ეროვნულ უმცირესობათ მიენიჭოთ ჩვენთან თანასწორი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება.

დადგენილება ესე ეცნობოს პარიზის საზავო კონფერენციას და ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიიღოს ყოველივე ზომა ჩვენი დადგენილების განსახორციელებლად.

მუნიციპალური ცხოვრება

ფოთის თვითმართველობაში.

შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიის ცირკულიარული განკარგულებით, ზედამხედველობის მოღვაწეობის მიხედვით, ყველა ქალაქის და ერობის გამგეობებს ევალება, რათა გამგეობის ყველა დადგენილების პირი წარდგენილი იქმნას კანცელარიაში.

ამის შესახებ ფოთის ქალაქის გამგეობამ აცნობა კანცელარიას შემდეგი:

1) შემდეგ 30 იანვრის ა. წ. კანონის გამოცემისა (იხ. კანონთა და განკარგულებათა კრებული 15 თებერვლის № 3), თანახმად ამა წლის 26 მარტის და 19 მაისის №№ 4760 და 8091 ცირკულიარული განმარტებისა, ფოთის ქალაქის საბჭოს ყველა დადგენილებები გაეგზავნა თავის დროზე და შემდეგშიაც გაეგზავნება ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს ქალაქ ჭუთაისში, ამ დადგენილებში უკვე მოთავსებულია გამგეობის ყველა საყურადღებო დადგენილებები, ზოგიერთ შემთხვევაში კი მათი შინაარსი, 2) ცალ ცალკე წარდგენა სამინისტროს კანცელარიაში გამგეობის ყველა დადგენილებებისა გამოიწვევს ზედმეტ შრომას გამგეობის კანცელარიაში, როცა ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა რიცხვი, შტატის შემცირებისა გამო, დიდათ შემოკლებულია, და საქმეები კი ერთი ხუთად-ათად გართულდა და 3) არც ზემოთ მოყვანილი 30 იანვრის კანონით და არც საქალაქო დებულების ძალით წარდგენა ასეთი დადგენილებებისა ქალაქის გამგეობებს არ ევალება და არც ევალებოდა არა თუ ადმინისტრაციის ინსპექციაში, არამედ ყოფილ გუბერნატორებთან და გუბერნიის კომისრებთან, და ასეთი მოთხოვნილება, გამგეობის აზრით, ადმინისტრატიული ინსპექციის ხელის-უფლებას არ შეადგენს.

ყველა ამ ზემოთ მოყვანილი მოსაზრებით ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სამინისტროს კანცელარიასთან განთავისუფლებულ იქმნას ფოთის თვითმართველობა აღნიშნული მოთხოვნილებისაგან.

ქალაქის მოურავის გ-ნ ჩხიკვიშვილის

განმარტება მილიციის უფროს ვ. სულაქველიძეს და კომისარ მიქაბერიძეს შორის მომხდარ ინციდენტის გამო.

ქალაქში დადის სხვა და სხვა ყალბი ხმები მეორე უბნის კომ. მიქაბერიძის დათხოვნის და მილიციელების მიერ მილიციის უფროსის მეთაურობით ძალადობის ჩადენის შესახებ. საჭიროდ ვსცნობ განვაცხადო, რომ მთელი ამ ინციდენტის ბრალი ედება მოქალაქე მიქაბერიძეს და მილიციის უფროსის საქციელი უაღრესად თავდაჭერილი მხოლოდ მოწონების და მადლობის ღირსია. ყოფილმა კომისარმა მიქ—ძემ მილ. უფროსის და ჩემდამი მომართულ მოხსენებაში იხმარა. შეუფერებელი სიტყვები მილიციის წევრთა მილიციელთა შესახებ. მილიციის უფ. საქმის გამოძიება მიანდო თავის თანაშემწეს იმნაიშვილს, რომლის დასკვნები მიქაბერიძის დასკვნებიდან განირჩევა; მიუხედავად ამისა მილიციის უფროსმა, სამსახურიდან დაითხოვა ის მილიციელნი, რომელთაც მიქაბერიძე ბრალს სდებდა.

მიქაბერიძე და მისი თანაშემწე აკობარდია სცდილობდენ ჩირქი მოეცხოთ მილ. უფროსისათვის და მისი საუკეთესო თანამშრომლებისათვის, რა მიზნითაც სასტუმროში შეჰკრიბეს დაუმოწმებელი ანგარიშები დათხოვნილ მილიციელთა შესახებ და არ წარადგინეს მილ. უფროს, რითაც საეჭვო გახადეს მილ. უფროსის მოქმედება. ბოლოს დაპატარებულ აკობარდიას გელოვანმა იარაღის აყრა მრუნდომა და რევოლვერის ტარი დაჰკრა თავში, ასეთ ველური საქციელისთვის მილ. გელოვანი სამსახურიდან დაითხოვეს და სამართალში იქნა მიცემული, მაგრამ მიქაბერიძის და მილ. უფროსის შორის მომხდარ ლაპარაკმა იმდენათ მწვავე და არა სასიამოვნო ხასიათი მიიღო, რომ ჩემთვის აშკარა გაჰხდა მათი ერთად სამსახურში დატოვება. განზრახული მქონდა აგვ. 30 წინადადება მიმეცა მიქაბერიძისათვის გადამდგარიყო, რადგან მილ. უფროსმა არ ისურვა მისი სამსახურში დატოვება და წინაღმდეგ შემთხვევაში თითონ აპირებდა წასვლა, მაგრამ ამის შესრულება ვერ შევძელი, აგვ. 30 მოხდა ახალი ინციდენტი, რის შემდეგაც მიქაბერიძეს ოფიციალურად მოვთხოვე გადადგომა რაიც მაშინვე შეასრულა.

ეს ინციდენტი გამოიწვია იმან, რომ მიქაბერიძემ სალამი არ მისცა მილიციის უფროსს, მილიციის უფროსს ჩემგან დავალდებული აქვს, რომ ყველა კომისრებმა და მილიციელმა სათანადო პატივისცემა გამოიჩინონ და როდესაც მიქაბერიძემ არ შეასრულა მილიციის უფროსის წინადადება, მილ. უფროსს მეტი აღარაფერი დარჩენოდა, რომ მიქაბერიძე დაეპატიმრებინა, რაც მან მეტის თავაზიანობით შეასრულა. მან წინადადება მისცა მიქაბერიძეს გაჰყოლოდა ავტომობილით სამმართველოში, მაგრამ მიქაბერიძემ რუსთაველის პროსპ. ყვირილი ასტეხა, თითქო მასსცემენ, ჰკლავენ და სხვ. 2 უბნის მილიციელებს იწვევდა დასახმარებლად.

უსაფუძვლოა ყოველივე ლაპარაკი იმაზე, თითქო მიქაბერიძეს საფრთხე მოელოდა, როგორც ამას ეს უკანასკნელი ამტკიცებს.

ეს მიქ—ძემაც კარგათ იცოდა, მაგრამ გზაში მაინც შეუფერებლად იქცეოდა, რითაც მიიპყრო მოქალაქეთა ყურადღება, რომელთაც შესაძლებელია ეფიქრათ, რომ მიქაბერიძეზე რაიმე საშინელ ძალადობას ხმარობდნენ.

მიქაბერიძე ძაან მუყაითი კომისარია პატიოსანი კარგი ადმინისტრატორი, მაგრამ ერთი უტაქტობა ჩაიდინა, რომელსაც თანდათან აღრმავებდა და ბოლოს საძაგლად მოიქცა და ამისთვის დათხოვნილი იქნა სამსახურიდან.

მილიციის უფროსი ყოველ ეჭვს გარეშეა, გულადი და რესპუბლიკის ერთგული მუშაკია. მართალია ხანდახან ფიცხია და მკაცრი, მაგრამ სრული პატივსცემის ღირსია და ყოველივე მისი წინააღმდეგ მიმართული ხმები უსამართლოა და უპატიოსნო.

ამის თავდებია მისი მუშაობა ტფილისში.

ქალაქის მოურავი, **ჩხიკვიშვილი.**

სახალხო გვარდიის ყრილობა

(ყველა საოლქო და სარაიონო შტაბებს, საველე შტაბს და სახალხო გვარდიის მუდმივი ნაწილების უფროსებს).

სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა მიმდინარე წლის 14 სექტემბერს ქ. ტფილისში მოიწვიოს სახალხო გვარდიის ყრილობა, რისთვისაც უნდა მოეწყოს წარმომადგენელთა (რწმუნებულთა) არჩევნები შემდეგ საფუძველებზე:

1) ყრილობაზე წარმომადგენელთა არჩევნების ორგანიზაცია დაევალოს საოლქო შტაბებს, იმ რაიონებში კი, რომლებიც პირდაპირ ემორჩილებიან მთავარ შტაბს—სარაიონო შტაბებს. გაგრის ფრონტზე არჩევნების ორგანიზაცია დაევალოს საველე შტაბს.

2) წარმომადგენლობის ნორმა ასეთია: 1 დელეგატს ირჩევს 150 კაცი, რომელნიც რაიონში ითვლება. რაიონები, რომლებთაც ჰყავთ 150-ზე ნაკლები, მაგრამ არა უმცირეს 100-სა, ჰგზავნიან 1 დელეგატს. რაიონები, საცა 100 კაცზე ნაკლებია, ერთდებიან.

3) საოლქო შტაბები ხელმძღვანელობენ არჩევნებს, ახდენენ რა მათ რაიონული შტაბების საშუალებით.

4) არჩევნები ხდება თვითეულ რაიონის გვარდიელთა საერთო კრებებზე: თუ რაიონი იმდენად დიდია, რომ საერთო კრების მოწყობა საძნელოა, სარაიონო შტაბის განკარგულებით იყოფა უბნებად.

5) თითოეულ შტაბში არჩევნები ხდება შეძლებისდაგვარად ერთ და იმავე დღეს, რომელსაც ნიშნავს საოლქო შტაბი.

6) სახალხო გვარდიელები, რომლებიც ფრონტზე არიან, დელეგატთა რიცხვის გამოანგარიშების დროს, გამოკლებულ უნდა იქნენ რაიონის სახალხო გვარდიელთა საერთო რიცხვიდან.

7) კადრის სახალხო გვარდიელები შტაბებთან ირჩევენ დელეგატებს რეზერვის სახალხო გვარდიელებთან ერთად.

8) ფრონტზე არჩევნები ხდება 1 დელეგატზე 150 სახალხო გვარდიელის ანგარიშით, რომლებიც რეზერვიდან არიან გაწვეულნი.

9) მუსლიმი ნაწილები ირჩევენ დელეგატებს საერთო კრებებზე შემდეგი წესით: საგანგებო ბატალიონი და ცხენოსანი დივიზიონი 3 დელეგატს, თვითეული ბატარეია თითო დელეგატს, შარაძის ტყვიამფრქვეველთა კომანდა 1 დელეგატს, მოტოციკლეტ საავტომობილო რაზმი 1 დელეგატს და ჯავშნიანის რკინის გზის რაზმი 1 დელეგატს.

10) შტაბების წევრები და უფროსების შემადგენლობა არჩევნებში მონაწილეობას იღებს სახალხო გვარდიელებთან ერთად. 11) არჩევნები უნდა დამთავრდეს ისეთი ვარაუდით, რომ დელეგატებს შეეძლოთ ტფილისში ჩამოსვლა 13 სექტემბრს.

დღის წესრიგს დამატებით შეგატყობინებთ.

ხელს აწერენ: სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე **ჯუღელი.**

მდივანი **აუშტრიკი.**

ყრილობის დღის წესრიგი.

1) თანამედროვე მომენტი და სახალხო გვარდიის მიზნები. მოხსენება ნ. ჟორდანიისა.

2) საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. მოხსენება ე. გეგეჭკორისა.

3) მთავარი შტაბის მოხსენება.

4) განხილვა ძირითადი კანონისა სახალხო გვარდიის შესახებ.

5) სახალხო გვარდიის შტატის და ხარჯთაღრიცხვის განხილვა.

6) განხილვა ინსტრუქციებისა და დებულებათა თანამედროვის პირთან შესახებ და სამსახური სახალხო გვარდიაში.

7) არჩევნები მთავარი შტაბისა.

8) მიმდინარე კითხვები

უცხოეთში

(საქ. დეპ. სააგ.).

აგვისტოს 30.

ინგლისური პრესა

იტალიის სააგენტოს ცნობით, რომში შესდგა 1920 წ. შრომის საერთაშორისო გამოფენის მომწყობი კომიტეტი.

შესწყდა სტამბის მუშათა გაფიცვა, რომელიც 50 დღეს გაგრძელდა.

შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც ტარიფის შეცვლა აქვს დაკისრებული.

პარიზის კონფერენციაზე ტიტტონიმ მოითხოვა, რომ იტალიას გადაეცეს დაპყრობილ ოლქებში იმ შენობების უფლებები, რომელთა გეგმებიც უკვე ჰქონდათ შედგენილი ავსტრიელ ინჟენერებს.

კონფერენციამ გამოარკვია, რომ ყოფილ ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიაზე შექმნილ სახელმწიფოთა შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელსაც პოლიტიკური ხასიათი არა აქვს.

საზაო კონფერენციამ საბოლოოდ შეიმუშავა, ავსტრიის საზავო ხელშეკრულების პირობები ნავთსადგურების, წყალის და რკინის გზების შესახებ.

„პტი პარიზიენი“ ირწმუნება, რომ საზავო ხელშეკრულება სექტემბრის 10 მდე არ იქნება დადასტურებული.

ვენის გაზეთები აქებენ იტალიის ჯარის კაცებს, რომელნიც თავდაჭერილად იქცევიან.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ამას წინად ერზერუმში მოხდა სეპარატისტების კონგრესი, რომელსაც მცირე აზიაში აჯანყების მომწყობი მუსტაფა ქემალ ფაშა თავმჯდომარეობდა, კონგრესზე იმსჯელეს იმ ზომების შესახებ, რომელიც უნდა იქნეს მიღებული, თუ ოსმალეთის დაყოფა მოინდომეს.

იტალიის ჯარმა ფიუმე მიატოვა, მცხოვრებლებმა ჯარს ოვაციები გაუმართეს. იტალიის ჯარის მაგიერ მოვა იმდენივე ჯარი ინგლისისა და საფრანგეთისა.

ციურიხიდან მოსულ ცნობების თანახმად, ბუდაპეშტში სამინისტროს კრიზისი გრძელდება. მოხდა მოკავშირეთა კომისიის სხდომა პარტიათა ლიდერების თანდასწრებით, რომლებმაც წინადადება მისცეს, საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა მიენდოს 3 პირისაგან შემდგარ დელეგაციას, რომელშიაც შევა თითო წარმომადგენელი: მრ-წველთაგან, მემამულეთაგან და მუშებისაგან.

ტრეტინოს საზღვაო საზოგადოებამ ამ დღეებში მოძრაობის სამინისტროსაგან რამდენიმე გემი მიიღო, ასე რომ მოკლე ხანში მოეწყობა საზღვაო მიმოსვლა სტამბოლსა და შავ ზღვამდე, რაც ძალიან შეუწყობს ხელს ტრიესტის ვაჭრობას.

ბუხარინი. „პრავდაში“ ეხება რა მოხალისეების შრომის შემოღების აუცილებლობას, რომლის ინიციატივა კომუნისტური პარტიისაგან უნდა გამოვიდეს, სწერს: თუ მოსკოვმა მოიფიქრა „სუბოტნიკი“, პეტროგრადმა უკეთესი მაგალითები მოგვცა ამ მოხალისეთა ბეგრისა. იქ „სუბოტნიკები“ მოწყობილ იქნა

საერთო ქალაქის მასშტაბით. მიუხედავათ ძალების უქონლობისა, პეტერბურგი დიდ ინიციატივას იჩენს. ეი დაახლოვებითი ცნობები მატერიალურ ერთეულების და მათი ღირებულობის სახით: გამოიზიდა 40,38 კუბ. საჟენი—37,011 მანეთად ღირებული. დახერხილია 35 კუბ. საჟენი, 2,265 მანეთ. ღირებული. შეკეთდა ხიდი—1100 მან. გადატანილია—2130 ფუთი ტორფი-ღირებული 7420 მ. დაწყობილია შეშა—1, 5 კვ. საჟენი—43 მანეთისა, დაწყობილია ტორფი—30 ფუთი 30 მანეთისა. მთელი ნამუშავარის ღირებულება უდრის 47,869 მანეთს.

ნიუენი, აგვ. 30. ვაშინგტონში სენატორმა ფალმა განაცხადა: „ვერსალის ზავი მოასწავებს ომს, მაგრამ არა მომავალში, არამედ დაუყოვნებლივ, ამერიკის ჯარი სილეზიაში იგზავნება რომ იბრძოლოს იმ ხალხთან, რომელთანაც ამერიკას არავითარი უთანხმოება არ ჰქონია. ამერიკის ჯარი და მეზღვაურები დანციგის ქუჩებზე იბრძვიან. ჩვენ თავზე ვიღებთ პასუხისმგებლობას და ამისთვის ჩვენ ამერიკის ჯარისკაცის სისხლი უნდა დაღვაროთ.

ნიუენი, აგვ. 30. კურლიანდიაში გერმანულ კორპუსის სარდალი გენ. ფონ-დერ-ჰოლცი თავის ბრძანებაში მოითხოვს რომ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ იმ აგიტაციას, რომელიც კურლიანდიის ჯარის გადასავალ. (დამახინჯებულია) ამ ბრძანებამ ბერლინის პრესაში სენსაცია გამოიწვია. მოელიან, რომ საქმეში სამხედრო მინისტრი ნოსკე ჩაერევა, რათა ფონ დერ ჰოლცის მოქმედებას კურლიანდიაში ბოლო მოელო!, სოციალ დემ. პარტიის პრეზიდიუმმა ფონ-დერ-ჰოლცის გაწოწვევა მოითხოვა, „ფორვერტს“-ი აცხადებს: ბალტიის მხარის გერმანელების გაჯირვება გამოიწვია იმან, რომ ყოვლად მიზან შეუწონლად გერმანიაში მოხალისეებს კრებდნენ ბალტიის მხარისთვის. კომისარ ვინიგს მით უმეტეს ნება არ უნდა დაერთო ამისა, რომ მან იცოდა, რომ ლატიშთა მთავრობამ არ აღიარა ის პირობები, გერმანელების ჯარისკაცებს ლიტვაში ადგილების მიცემის შესახებ.

ლიონი, აგვ. 30 „ლე გოლუა“ ბეჭდავს რუმინიის მეფის მეუღლის წერილების ზოგიერთ ადგილებს, რომელიც წარმოადგენს დღიურს, რომლის რამდენიმე გვერდი შეიცავს მოგონებებს ნიკოლოზზე და მის ცოლზე.

ლიონი, აგვ. 30. ერცჰერცოგი იოსები გადადგა, მაგრამ მისი ადგილი ერთ ერთმა მინისტრმა დაიჭირა. არსებობს აგრეთვე ძველი მთავრობა, მაგრამ უვერცჰერცოგოთ.

ლიონი, აგვ. 31. უნგრეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ფრიდრიხმა კლემანსოს მიმართა ნოტით, რომელშიც ის სთხოვს მიღოს ზომები, რომ ბუდაპეშტში მყოფ მოკავშირეთა სამხედრო მისიები არ ჩაერიონენ უნგრეთის შინაურ საქმეებში. ის აუწყებს მოკავშირეებს, რომ მისმა სამინისტრომ გადასწყვიტა ამ მოკლე ხანში ეროვნული ყრილობის საერთო არჩევნები დაიწყოს და სთხოვს მოკავშირეებს გაგზავნონ უნგრეთში დელეგაცია არჩევნებისთვის თვალ-ყურის სადევნებლად. ფრიდრიხი პირობას აძლევს კლემანსოს, რომ ის ძირიანად აღმოფხვრავს ბოლშევიზმს, აღადგენს მართლ მსაჯულებას, წესრიგს და კერძო საკუთრებას. დასასრულ ის სთხოვს კლემანსოს, მხარი დაუჭიროს მის მთავრობას და კეთილად მოეპყრას მას.

მოსკოვი. სამხედრო ცნობებიდან: დასავლეთის ფრონტზე ლუგის რაიონში ჩვენ ვუტევთ დვინსკის რაიონში. ჩვენმა ჯარმა დასავლეთ დვინის მარჯვენა ნაპირისაკენ დაიხია. ჩვენ პლოცკის სამხრეთ დასავლეთით 45 ვერსზე დავიჭირეთ ბობინირი და კუბლიჩი (შემდეგ დამახინჯებულია).

აღმოსავლეთის ფრონტზე: ჩვენ გავიმარჯვეთ. სად. იაისანის რაიონში მტერი დავამარცხეთ და ეგერთა ბატალიონის 800 კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ იარაღით, ზარბაზნებით და ტყვიასმფრქვეველებით. სად. ილინსკაიას რაიონში ორენბურგის აღმოსავლეთით ჩვენ ორენბურგის მე-7 ყაზახთა პოლკი დავამარცხეთ. წამოვიყვანეთ 300 ტყვე. ჩვენმა ჯარმა ორსკი აიღო. ხელში ჩავიგდეთ 200 ვაგონი და 3 ორთქლმავალი. იალუტორის მიმართ. ჩვენ ბრძოლით სვინტოვოსინკაიას ვუახლოვდებით ომმკის ჩრდილო დასავლეთით. ჩვენ მტრის ბატალიონი წამოვიყვანეთ ტყვედ. ტობოლის მხარეზე შეტევა გრძელდება.

გომელი. აგვ. 30. წითელი ჯარისაგან კუპლიანსკის დაჭერა მოულოდნელი იყო დენიკინის შტაბისთვის, რამაც საშინელი პანიკა გამოიწვია. ხარკოვში გაიქცა ფარული ბრძანება სამხედრო და დაწესებულებების ქონების გატანის შესახებ. ბრძანების შინაარსი მალე მთელმა ქალაქმა გაიგო. ქუჩებში გაჩნდნენ საბარგო ავტომობილები; გარნიზონში რღვევა დაიწყო-ბურჟუაზია თავის ქონებას საჩქაროდ ყიდის და საზღვარ-გარეთ გარბის. ხარკოვში მყოფი ინგლისის მისია საჩქაროდ ინგლისში გზავნის სურსათს. მისიას და დენიკინის შტატის დამოკიდებულება გამწვავდა. ყოველ დღე გამოდის კომუნისტური ფურცლები.

იტალიური პრესა.

(გაგრძელება.)

რომიდან გუშინ ძმური სალამი და სურვილები გაეგზავნა პოლონეთს საზღვაო დირიჟაბლით, რომელიც 6 საათში გადაფრინდება პოლონეთში.

შანხაიში წავიდა გემი „ნაიტგიპი“. ჰაეროპლანების ანგარის სრული მოწყობილებით, მასალით და სურსათით, იმ მიზნით, რომ გზაში ხელი შეუწყოს რომიდან ტოკიოში გადაფრენას, რომელიც ახლო მომავალშია განზრახული. ეს გემი სპარსეთის ყურეზე გაივლის, გზა და გზა შანხაიმდე მოაწყობს პოსტებს ჰაეროპლანის დასაშვებათ და მასალა სურსათის მისაწვდენად, მფრინავთა სადგომებს მოაწყობს და მექანიკოსებს მოამზადებს.

იტალიის მიწის მომჭედთა საზოგადოებამ მთავრობას წარუდგინა პროექტი იმ ზომებისა, რომელიც საჭიროა იტალიაში სხვა და სხვა ხორბლეულობის წარმოების წასახალისებლად, რათა შემდეგში იტალიამ თვითვე შესძლოს საჭირო რაოდენობის პურის მოყვანა.

სიძვირის მოსპობის მიზნით ამერიკის სამხედრო სამინისტრო აპირებს მცხოვრებლებს მიჰყიდოს არმიის ზედმეტი პური.

ამერიკული პრესა იუწყება, რომ შეერთებული შტატები მიჩქარის საკითხის გადაწყვეტაში ჩარევას აპირებს. სამხედრო და საზღვაო ზომები უკვე მიღებულია.

რომიდან იუწყებიან: იტალიის მთავრობა მოკავშირეებს შეუთანხმდა, რომ სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნებას სექტემბრის მეორე ნახევრიდან შეუდგნენ.

ამერიკელ კადეტების და სხვა მოხელეთათვის რომის სამხედრო სასწავლებელში გამართულ საუზმეს დაესწრნენ: ნიტტი, დააკი, ალბრიჩი და სეკკი. გენერლებმა ერთმანეთისადმი მხურვალე სურვილები გამოსთქვეს. ალბრიჩმა იტალიის მთავრობის სახელით სადღეგრძელო სთქვა, ხოლო პოლკ. ვესტიმ—როგორც ამერიკელ კადეტთა უფროსმა.

კლანგენფურტიდან იუწყებიან: ერთი გაზეთი აცხადებს, რომ იტალიელებს ისე უყურებენ, როგორც სიღარიბისა და უბედურებისაგან მხსნელებს.

საზავო კონფერენციამ რუმინიის უკმაყოფილება გამოსთქვა უნგრეთში მოხდენილ რეკვიზიციების მოხდენის გამო და ამასთანავე აფრთხილებს, რომ თუ ეს გაგრძელდა, ამას რუმინიისთვის დიდი შედეგები მოყვება.

გემთა საამშენებლო საზოგადოებათა წარმომადგენლები მოძრაობის სამინისტროში მიიწვიეს იტალიის სავაჭრო ფლოტის გაძლიერების საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებათ. მათ დაჰპირდენ დიდ ფინანსიურ დახმარებას.

ჩვენი პასუხი.

(წერილი რედ. მიმართ).

ჩოხატაურელ მემამულეებს: იოს. ქლენტს, პ. მეგრელიშვილს, ჯაბა ერისთავს, სევ. კოროშინაძეს, მასიკო და ივანე ცინცაძეებსა და სხვებს, რიცხვით 10 კაცს, საჩივარი აღუძრავთ საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის წინაშე ჩემს, როგორც ოზურგეთის სამაზრო ერობის საადგილ-მამულო განყოფილების გამგის, წინააღმდეგ, რომელიც, ბრალს მდებენ რა, რომ 1) თითქოს ჩემის „განკარგულებით ერთმეორეს მათ მიწები პირველი კატეგორიის სახით“ და 2) რომ თითქოს სამინისტროსაგან გამოგზავნილ კომისიას ეცნოს მათი მიწები კანონის ძალით დასაყოფათ სამ ხარისხათ, მაგრამ ოზურგეთიდან ბრძანებით ამას წინ ეღობებიან“,—სთხოვენ დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს მოახდინოს განკარგულება, რომ „ოზურგეთის სამაზრო ერობის წარმომადგენელი ვიგულისხმები მე მ. ს.) დაემორჩილოს საერთო ოსპუბლიკის კანონებს მიწის შესახებ“ და მით „იხ ნან ისინი ძალმომრეობისა და თვითნებობისაგან“.

აქ წამოყენებულ მეტად სერიოზულ ბრალდებებზე უკვე წარედგინა მიწათ მოქმედების სამინისტროს დასაბუთებული განმარტება ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობის მიერ, მაგრამ საკითხი იმდენად საყურადღებოა და ბრალდებები იმდენად მძიმეა, რომ, ვფიქრობ, საჭიროა პრესის საშუალებით ფართე საზოგადოებაც გაეცნოს საქმის ვითარებას, რომ არავინ იფიქროს, თითქოს მართლაც ჰქონდეს გურიაში ადგილი აგრარული რეფორმების გატარების დროს კანონის გვერდის ავლევით მიმამულეთა ჩაგვრას, „ძალმომრეობასა და თვითნებობას“ და ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ამას წინაზე ოზურგეთ. სამაზრო საერობო ყრილობაზე ხმ. ჩ-მაც თითქმის ასეთივე შინაარსის შეკითხვა შემოიტანა გამგეობისადმი და მით, შეიძლება არა სასურველი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე, მიუხედავათ იმისა, რომ მას მაშინაც ღირსეული პასუხი გაეცა.

საქმე შემდეგშია, 7 მარტის 1918 წ. მიწის კანონის მე 2 მუხლი ამბობს „ჩამორთმეულ მამულებიდან მფლობელთ დაუტოვებენ: ა) 7 დესეტინას, თუ ჩამორთმეულ მამულის რაიონში ეწევიან ძვირფას კულტურ ის მეურნეობას, ბ) 15 დესეტინას იმ რაიონში, სადაც ეწევიან ხორბლეულობის მეურნეობას და გ) 40 დესეტ. თუ უმთავრესად შინაურ საჭონლის მოშენებას მისდევენ“.

ბრმათ, უკომენტარიოთ რომ შევასრულოთ ეს მუხლი და მხედველობაში არ მივიღოთ მის განსამარტავად მიწათ მოქმედების სამინისტროს მიერ გამოცემული ინსტრუქციებით და ახსნა-განმარტებანი და აგრეთვე სპეციალისტების აზრი,—მაშინ გურიის ყველა მიწები, ისინიც კი, რომლებიც სუფსა-ნატანებრიონის ნაპირებს აკრავთ და მთელი გურიის ბეღლათ ითვლებიან,—მართლაც და მეორე კატეგორიის მიწებათ უნდა ჩაითვალოს და მემამულეთ 15-15 დეს. უნდა დაიტოვოს ნორმად. რაც, ჩემის აზრით, არა თუ მიწის საკითხის მოგვარება და „უმიწაწყლო და მცირემიწის მჭონე სოფლელთა რამდენიმედ მიწით უზრუნველ-ყოფი იქნებოდა, არამედ კიდევ უფრო არევ დარევდა მას და მემამულეებსა და გლეხებს შორის მდგომარეობას გამწვავებდა. მაგრამ, საბედნიეროთ ეს ასე არ არის. მიმღები კომისიები გურიაში მიწებს, გარდა გამონაკლისებისა, პირველ ხარისხში ღებულობენ და აი რატომ.

კანონის მე 2 მუხლი არ გულისხმობს, რომ მხოლოდ იმის მიხედვით უნდა იქნას გამორკვეული ჩამოსართმევი მიწის კატეგორია, თუ რა არის ზედ მიღების დროს გაშენებული, არამედ იმისაც, რომ იმ რაიონის პირობებში, სადაც სძევს მამული, შეიძლება თუ არა უფრო ძვირფასი კულტურის მეურნეობის წარმოება. ამის დასამტკიცებელი საბუთები მრავალია მიწათ-მოქმედების სამინისტროს ინსტრუქციებსა და განმარტებებში, რომლებიც თავმოყრილია ამავე სამინისტროს მიერ გამოცემულ „Сборникъ Законовъ, инструкцій и разъясненій по Министерству Земледѣлія“-ში, რომელთაგან მე მოვიყვან მხოლოდ შემდეგს: „იმ რაიონებისათვის, რომლებშიდაც ეწევიან ძვირფას კულტურის მეურნეობას, (ვენახის, ჩაის, თამბაქოს, ბრინჯის, ხეხილისა და სხვ.). განსაზღვრულია ნორმათ 7 დეს., ხორბლეულობის მეურნეობის რაიონისთვის კი—15 დესეტ., იმის გამოსარკვევად თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნოს ესა თუ ის ჩამოსართმევი მამული, უნდა მიექცეს ყურადღება არა მარტო იმას, რა კულტურას ეწევიან ამ მამულში, არამედ იმასაც, შეიძლება თუ არა იმ რაიონის პირობებში, სადაც მამული სძევს, უფრო ძვირფასი კულტურის წარმოება. მაგალითად, ამა თუ იმ მამულში, ვსთქვათ, ითესება ხორბალი, მაგრამ ამ მამულში თავისუფლათ შეიძლება ვენახის გაშენება, მაშასადამე, ხსენებული მამული უნდა მიეკუთვნოს პირველ კატეგორიას, ესე იგი ნორმათ გამოეკრას 7 დესეტ.“ (იხ. Сборникъ Закон., инстр. и разъясн. Минист. по Земледѣлія-ში. გვ. 62, № 58 პუნქტი 4).

აი ამ ინსტრუქციით ხელმძღვანელობენ ჩვენი მიმღები კომისიები მამულის მიღების დროს ეხლა. ვიკითხოთ,—შეიძლება თუ არა გურიაში საზოგადოთ ვსთქვათ, ჩოხატაურის რაიონში, თუ გინდ, ვსთქვათ, ჩიმი მომჩივნების—ქლენტის, ცინცაძეების, ერისთავისა და სხვების და კიდევ, თუ გნებავთ, შეკითხვის ავტორის ხმ. ჩ-ლის მამულში, უფრო ძვირფასი კულტურის წარმოება, ვიდრე დღეს არის. პასუხი ყველასთვის ცხადია, რომ შეიძლება და ბევრ ადგილას კიდევაცაა განვითარებული ძვირფასი მეურნეობის ზოგიერთი დარგები ჩაი, ვენახი, თხილი, თამბაქო, მანდარინა და სხვა; —მაგრამ მაინც მივმართოთ სპეციალისტების დასკვნებს ამის შესახებ. მაზრის აგრონომი ებრალიძე თავის ოფიციალურ მოხსენებაში ამბობს: „ოზურგეთის მაზრა თავის ყოველმხრივ შემკული ბუნებით წარმოადგენს საუკეთესო ნიადაგს ძვირფას კულტურის მეურნეობის განვითარებისათვის. ჩვენში მომუშავე, ძვირფასს მცენარეების მცოდნე-სპეციალისტები ერთ ხმათ აღიარებენ, რომ ოზურგეთის მაზრა თავის და ნიადაგის მიხედვით არ განსხვავდება იმ ადგილებიდან, სადაც ძვირფასს მცენარეების სამშობლოსა და დიდი პერსპექტივები ეშლებათ მომავალში; ამ მცენარეების კულტურის ცდამ, საცდელ მინდვრებში აშკარად დაგვიმტკიცა, რომ გურია ძვირფასი მცენარეების ბუნების სამშობლოთ შეიძლება ჩაითვალოს.“ ასეთია სპეციალისტების დასკვნა ამის შესახებ, რაც სახელმძღვანელოდ მიიღო გასულ წელს ქუთაისის საგუბერნიო საადგილ-მამულო თათბირმა სპეციალისტთა მონაწილეობით და დაადგინა, რომ მიწების კატეგორიების გამორკვევის დროს გურია ნაგულასხმევი უნდა იქმნეს ძვირფას კულტურის მეურნეობის რაიონად.

მაგრამ, მიუხედავად კანონის ასეთი განმარტებისა, რომლის ძალით, როგორც დავინახეთ, გურიაში ყველა მიწები, გარდა უკიდურესი გამონაკლისისა, უნდა მიღებული იქნას აუცილებლათ პირველ ხარისხში და მემამულეებს დაეტოვოს ნორმად 7-7 დეს., ჩვენი მიმღები კომისიები ასე მაინც არ იქცევიან, არამედ ადგილობრივად კიდევ ამოწმებენ მისაღებ მიწებს და თუ გამოირკვევა, რომ მიწა მწირი და გამოუსადეგარია, ღებულობენ მეორე ხარისხში. ამის დასამტკიცებლად და აგრეთვე იმის დასამტკიცებლადაც, რომ ბანნი მომჩივნები ურცხვათ სტყუიან, როცა ამბობენ, თითქოს მათი მამულები კომისიის შეუმოწმებლათ პირველი ხარისხისათ მიეღოს,—მოვიყვან ცნობებს სწორედ ზოგიერთ ამ პატივცემულ პირთა მამულების მიღების აქტებიდან. მაგალითად, ს. ჯ-ერისთავს—აღმოაჩნდა 16 დეს. 1816 კვ. საჟ. მიწა; აქედან კომისიას, უცვნია რა ზოგიერთი ნაკვეთები მეორე ხარისხისათ, რაზედაც ცალკე ოქმიც შეუდგენია მრავალ დამსწრე კეთილ სინდისიერ პირთა ხელ მოწერით,— დაუტოვებია მფლობელისათვის 10 დეს. 2136 კვ. საჟ., ფონდში გადაურიცხავს 4 დეს. 480 კვ. საჟ. დანარჩენი უჭირავს მდინარეებს.

2. მასიკო და ივანე ცინცაძეები,—აღმოაჩნდა 27 დეს. 506 კვ. ს. დაუტოვეს 16 დეს. 2260 კ. ს., ფონდში გადავიდა—10 დეს. 656 კ. ს.

3. პ. მეგრელიშვილი—აღმოაჩნდა 17 დეს 278 კ. ს., დაუტოვეს—10 დეს. 184 კ. ს. ფონდში გადავიდა—4 დეს. 1236 კ. ს.

4. ი. ქლენტი—ჰქონდა 12 დეს. 504 კ. ს. ნორმაში დაუტოვეს 10 დეს. 281 კ. ს., ფონდში გადავიდა—1 დეს. 981 კ. ს.—და ასე კიდევ სხვები.

აქედან, ცხადია, რომ დასახელებულ მემამულეთა მტკიცება „ჩვენი მიწები პირველ კატეგორიაში მიიღეს და მით თვითნებობა და ძალმომრეობა ჩაიდინესო“, სიმართლეს არ შეესაბამება; ეს რომ ასე ყოფილიყო მაშინ ნორმაში თვითეულს მათგანს 7-7 დეს. დაუტოვებდენ და არა მეტს.

საზოგადოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გურიაში მიწების ჩამორთმევის დროს არც ერთ მემამულის მიმართ არ ქონია ადგილი „ძალადობას, თვითნებობას“ და კანონის ღალატს, რასაც, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ გასულ წელს გურიაში მიღებული იქმნა ფონდში გარეშე ტყისა 2200 დეს-მდე სახნავ-სათესი და 13000 დეს-მდე საძოვრები და არც ერთს ხელ არავისგან ასეთ საჩივარს არ

ჰქონია ადგილი ჩვენზე... მაგრამ თუ ჩვენ ზოგიერთ შემთხვევებში მიწის კანონებს, ერთ დროს მუსავატ-დაშნაკელებთან ერთად ერთ ხმად მიღებულს სეიმის მიერ, რასაც იმ არევ დარევის ხანაში დიდი ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა,—ვატარებთ ცხოვრებაში ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებით,—ნურას უკაცრავათ პატივცემულ მემამულეებთან—ამას მოითხოვს დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა, რომლის სირთულეს რამდენიმეთ ისიც კი ნთელ-ყოფს, რომ დასახელებულმა პირებმა და ბევრმა კიდევ სხვა მისთანა მემამულეებმა უკანასკნელ ხანებში უკვე დაიწყეს ღიათ ლაპარაკი ისეთ ხალხის ნდობით აღჭურვილ ორგანოს—როგორც ერობაა, თვითნებობისა და ძალადობაზე", რასაც, ჩემის აზრით, ანგარიში უნდა გაეწიოს ვისგანაც ჯერ არს.

ოზურგეთის სამაზრო ერობის საადგილ მამულო განყოფილების გამგე მ. საბაშვილი.

სხვა და სხვა.

დღეს ჩვენი გაზეთი დამატებითაა.

✦ თელავის ერობის გამგეობა გვაცნობებს პირველ ენკენისთვეს დილით მაზრის მილიციის უფროსის აბაშიძის მეთაურობით მილიციონერებმა მოჰკლეს ყაჩაღთა ბრბოს მეთაური გიო მახნიაშვილი,

✦ ცნობილმა კომერსანტმა დ. ქებაძემ რაოდენიმე ათასი მანეთის მანუფაქტურა გადასცა ჭიათურის კოოპერატივს.

✦ რედაქციამ მიიღო ზ. ჭიჭინაძის ახალი გამოცემანი: 1) „სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი", 2) „ისტორია ფარული საზოგადოებისა".

✦ ქალაქის თვითმართველობა აცხადებს გიმნაზიის მოსამზადებელ კლასების მოწაფეთა მშობლების საყურადღებოთ, რომ ამ დღეებში შემუშავდება გეგმა მათი ბავშვების მოთავსებისა ქალაქის სკოლებში, რაც ეცნობება გიმნაზიების ადმინისტრაციას.

ცნობების მიღება შეიძლება გიმნაზიებში რამოდენიმე დღის შემდეგ.

ქალაქის სკოლებში მეცადინობა დაიწყება 15 სექტემბერს.

✦ დღეს 2 სექტემბერს საღ. 7½ სათ. ერობის შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 6) შესდგება საქ. ექ. პროფ. კავშ. ტფილის. განყოფილების საზოგადო კრება. გასარჩევია ფრიად საჭირო კითხვები.

